ნიადაგის ხარისხობრივი შეფასება და მიწათსარგებლობის კადასტრის მნიშვნელობა

სამცხე-ჯავახეთის ყავისფერი ნიადაგების მაგალითზე

სალომე ფხალაძე

ელ.ფოსტა: salome.pkhaladze567@ens.tsu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ი.ჭავჭავაძის პრ. #3, 0179 თბილისი

თემაში განხილულია მიწათსარგებლობის კადასტრის მნიშვნელობა ნიადაგების ხარისხობრივ შეფასებისთვის, კვლევისთვის შევარჩიეთ სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ყავისფერი ნიადაგები , როგორც აქტიური, ტრადიციული მიწათმოქმედების არეალი. გამოირკვა, რომ სამცხე-ჯავახეთის ბუნებრივი და ანთროპოგენური ფაქტორების გამო ნიადაგები განიცდიან ნაყოფიერების შემცირებას, სადაც წამყვან როლს თამაშობს წყლისმიერი ეროზია და შხამ- ქიმიკატების არარაციონალური მოხმარება.

სოფლის მეუნეობისთვის მიწის რესურსები შეზღუდულია, ნიადაგის განსაზღვრული ნაყოფიერების გამო სასოფლო- სამეურნეო მიწების სამართლიანი განაწილებისთვის და ეკონომიკური შეფასებისთვის საჭიროა ვიცოდეთ მიწის სავარგულის თითოეული კონტურის და მასში მოქცეული სხვადასხვა სახესხვაობის ნიადაგის მქონე ნაკვეთის ხარისხი და ფასი .

მიწათსარგებლობის კადასტრი მიწის მართვის საფუძველია, იგი ერთიან, ღია ინფორმაციული სისტემაა. ნიადაგის ხარისხობრივი შეფასება იგივე ბონიტირება მიწის კადასტრის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, ესაა ნიადაგის ნაყოფიერების აგრონომიული ინვენტარიზაციაა ბალებით გამოხატული.

თემაში განხილულია საქართველოს ნორმატიული აქტები მიწის რესურსების მართვის და ნიადაგის დაცვის შესახებ. აქვე მიმოხილვული გვაქვს საქართველოს მიწის რეფორმები, რომელმაც უარყოფითად იმოქმედა ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, რადგან მოხდა მიწების არასწორი და არასამართლიანი ფრაგმენტაცია.

მოცემული თემა აქტუალურია, რადგან ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება წევრ ქვეყნებს ავალდებულებს ერთიანი ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებას. საქართველო ვალდებულია შექმნას საკადასტრო მონაცემები, მისი ყველა ელემენტით (ერთ-ერთია ნიადაგის ხარისხობრივი შეფასება), გახადოს იგი საჯარო და ხელმისაწვდომი.

ნაშრომში მიმოვიხილავთ ნიადაგის ბონიტირების რამდენიმე ხერხს და მის მნიშვნელობას ნიადაგის დაცვისა და ნაყოფიერების აღდგენის საქმეში.

თემის ფარგლებში მესხეთის რამდენიმე სოფელში ჩავატარეთ ყავისფერი ნიადაგების კვლევა. ნიადაგის ნიმუშების ლაბორატორიულ ანალიზებიდან მიღებული მონაცემები შევადარეთ 1975 წელს რ. პეტრიაშვილის „მესხეთის ნიადაგებში'' მოყვანილ მონაცემებს. დავასკვენით რომ რიგ სოფლებში არასწორი აგრო საქმიანობის გამო ნიადაგის ნაყოფიერება 40 წლიან იტერვალში შემცირებულია.

აქვე ჩვენ განხილული გვაქვს მესხეთის ნიადაგების ბონიტირების რუკები, რომლის შედგენა 2000-2007 წლებში KfW ბანკების ჯგუფის (გერმანია) და საქართველოს მთავრობის ერთობლივი თანადაფინანსებით მოხდა. შედეგი საკმაოდ შემაშფოთებელია, საბონიტე ქულების მიხედვით მესხეთში ნიადაგების დიდი ნაწილი დაბალნაყოფიერი ან მწირია.

განხილული თემები ნათლად ასახავს ნიადაგის კადასტრის, ხარისხობრიოვი შეფასების მნიშვნელობას. მიწის რესურსების შეფასების გარეშე შეუძლებელია სოფლის მეურნეობის ეფექტურად ფუნქციონირება, აგრო საქმიანობების წარმართვა - პროგნოზირება, ნიადაგის დაცვა და გარემოში ეკოლოგიური წონასწორობის აღდგენა.

საკვანძო სიტყვები : ნიადაგის ნაყოფიერება, ნიადაგის ბონიტირება, მიწის რესურსები, კადასტრი.